

ინფორმაცია

სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ

სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტთათვის განსაზღვრულია სწავლის საფასურის გადახდის შემდეგი წესი:

1. რეგისტრაციის გავლისას სწავლის საფასურის მინიმუმ $\frac{1}{2}$ -ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ:
 - ა) პირველკურსელებმა;
 - ბ) მობილობით (გარე მობილობა) გადმოსულმა პირებმა;
 - გ) უცხო ქვეყნის მოქალაქე პირებმა.
2. რეგისტრაციის გავლისას სწავლის საფასურის მინიმუმ $\frac{1}{4}$ -ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ ყველა დანარჩენი კატეგორიის სტუდენტებმა.

იმ შემთხვევაში, თუ კი პირს შეტანილი აქვს განაცხადი სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მას გადაუვადდება საფასურის გადახდის ვალდებულება საკითხის გადაწყვეტამდე. ასეთი კატეგორიის პირებმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინონ განაცხადის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი.